



შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ წყლის რესურსების მართვის გეგმა

მოცემული დოკუმენტი დამტკიცებულია გენერალური დირექტორის მიერ:

გიორგი აბრამიშვილი

2025

სარჩევი	
შესავალი.....	2
წყალთან დაკავშირებული ინციდენტების გავლენა ბიზნესზე.....	4
წყლის რესურსების მართვის გეგმის გადახედვის პროცესი.....	5
დანართი: წყლის მართვის გეგმის განხორციელების	6

შპს ვსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი წყლის რესურსების მართვის გეგმა

შესავალი

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ (AGD) დაარსდა 2013 წლის ივნისში, რომელიც ფლობს და ახორციელებს ჰიდროენერგეტიკულ პროექტებს საქართველოში. კომპანიამ, მესტიის მუნიციპალიტეტში, მდინარე ლახამზე, განავითარა ლახამი ჰესების კასკადი, რომელიც მოიცავს ლახამი 1 და ლახამი 2 ჰიდროელექტროსადგურებს. ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე სადგურების საერთო დადგმული სიმძლავრე შეადგენს ჯამში 16 მეგავატს და წლიურად საშუალოდ 80 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ. ლახამი ჰესები დაკავშირებულია ეროვნულ ქსელთან 35/6 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით.

„ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“-ს თანამფლობელები არიან: შპს სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III – კავკასიის განახლებადი ენერჯის ჰოლდინგი (CCEH), რომელიც არის საერთაშორისო საინვესტიციო ჰოლდინგური კომპანია, დაარსებული 2015 წელს, დასავლური ინვესტორების მონაწილეობით, და აქტიურად არის ჩართული საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში.

შპს ჯეო ჰიდრო კაპიტალ გრუპი - რომელიც დაარსდა 2013 წელს და სპეციალიზდება საქართველოში მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების განვითარებაზე. შპს ენერჯი სოლუშენსი – რომელიც დაარსდა 2014 წელს, ფოკუსირებულია მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასა და განვითარებაზე, ასევე ჰიდროენერგეტიკის სფეროში საკონსულტაციო მომსახურების გაწევაზე.

წყლის რესურსების გამოყენება და მართვა

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ აღიარებს, რომ წყალი წარმოადგენს საერთო სარგებლობის და კლიმატურად მგრძობიარე რესურსს. მოცემული გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პოლიტიკის ფარგლებში, ასევე რისკების ინტეგრირებული მართვის (ERM) მიდგომის შესაბამისად, რაც გაწერილია შპს „ვსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოსა და მატერიალურობის ანალიზის დოკუმენტში. კომპანია იღებს ვალდებულებას, დააიდენტიფიციროს, შეაფასოს და შეამსუბუქოს წყალთან დაკავშირებული რისკები, რომლებიც შეიძლება ზეგავლენას ახდენდეს მისი ოპერირების მდგრადობის, მარეგულირებელი მოთხოვნებთან შესაბამისობისა და გარემოსდაცვითი მართვის ეფექტიანობაზე.

მოცემული წყლის რესურსების მართვის გეგმა წარმოადგენს შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“-ს მდგრადობისა და მმართველობითი ჩარჩოს სტრუქტურულ ელემენტს. იგი ასახავს კომპანიის ხედვას, რომ სუფთა და საიმედო წყლის ხელმისაწვდომობა არსებითია არა მხოლოდ ჰიდროენერგეტიკული ოპერირების მუდმივად უზრუნველყოფისთვის, არამედ იმ ეკოსისტემებისა და ადგილობრივი თემების კეთილდღეობისთვისაც, სადაც კომპანია საქმიანობს. მოცემული წყლის რესურსების მართვის გეგმა ეფუძნება სიფრთხილის პრინციპს, ადაპტაციური მართვის კონცეფციასა და გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფის სტრატეგიულ მიზანს. პროგრამა მოიცავს რიგ ძირითად კომპონენტებს, მათ შორის წყლის დაბინძურების პრევენციის ღონისძიებებს:

- **ჰიდროლოგიური მონიტორინგი და მონაცემთა შეგროვება:**

ახორციელება წყლის ხარჯის რეგულარული მონიტორინგი წინასწარ განსაზღვრულ კვებებზე, მდინარე ლახამზე. მონაცემთა შეგროვება მოიცავს მრავალწლიან გაზომვებს. მონაცემები აღირიცხება ყოველდღიური, 5-წუთიანი და საათობრივი ინტერვალებით და ინტეგრირებულია ზედამხედველობის, მართვისა და მონაცემთა აღრიცხვის (SCADA) სისტემაში, რომელიც უზრუნველყოფს წყლის ხარჯების მონიტორინგს რეალურ დროში. მოცემულ პროცესს საფუძვლად უდევს გრძელვადიანი ჰიდროლოგიური მონაცემები. შეგროვებული მონაცემები გამოიყენება ტენდენციების ანალიზისა და ოპერირების დაგეგმვისთვის, ასევე ინტეგრირებულია ზედამხედველობის, მართვისა და მონაცემთა აღრიცხვის (SCADA) სისტემაში რეალურ დროში მონიტორინგის უზრუნველსაყოფად.

- **ეკოლოგიური ხარჯის შესაბამისობა:**

ეკოლოგიური ხარჯის შესაბამისობის უზრუნველყოფაზე დაწესებულია უმკაცრესი მონიტორინგი, რომლის მიზანია წყლის ეკოსისტემების ეკოლოგიური ფუნქციონირების და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება. მდინარის მოდინებაზე დაფუძნებული ჰიდროელექტროსადგურის ოპერირება დაფუძნებულია მდინარის ჩამონადენზე და არ იყენებს წყალსაცავებს, რის გამოც დინების რეგულირება დამოკიდებულია მდინარის ბუნებრივ ჰიდროლოგიურ რეჟიმზე. ეკოლოგიური ხარჯის სათანადო კონტროლის უზრუნველსაყოფად დამონტაჟებულია ავტომატური დონმზომი სისტემები, რომელთა მიერ შეგროვებული მონაცემები ინტეგრირებულია ზედამხედველობის, მართვისა და მონაცემთა ადრიცხვის (SCADA) სისტემაში, რაც შესაძლებელს ხდის ხარჯის უწყვეტ, რეალურ დროში მონიტორინგს. გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასების ნებართვის თანახმად, ანგარიში ყოველდღიური ხარჯების შესახებ წარედგინება საქართველოს გარემოს ეროვნულ სააგენტოს ყოველ კვარტალურად.

- **ოპერაციული რისკების პრევენცია და ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების მექანიზმები:**

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“-ს შემუშავებული აქვს პროცედურები ჰიდროლოგიურ მოვლენებზე რეაგირებისთვის, როგორცაა წყალდიდობები და ბუნებრივი ნატანი. გატარებული ზომები მოიცავს ფერდობების სტაბილიზაციას, საგანგებო წყალგამტარობის პროტოკოლებს და დამცავი ინფრასტრუქტურის საპროექტო გადაწყვეტებს. სენსიტიურ უბნებზე რეგულარული მონიტორინგი ხორციელდება კვალიფიციური გეოლოგის მიერ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება სახიფათო ან არასტაბილური ფერდობები, ხდება სპეციალურად მომზადებული მთამსვლელების მობილიზება ფერდობის გაწმენდისა და სტაბილიზაციის სამუშაოების განსახორციელებლად.

- **მმართველობა, ზედამხედველობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა:**

მოცემული წყლის რესურსების მართვის გეგმის ზედამხედველობას ახორციელებს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) გუნდი, მჭიდრო კოორდინაციით კომპანიის დირექტორთან, ტექნიკურ დირექტორსა და ოპერირების და ექსპლუატაციის გუნდთან. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ წყალთან დაკავშირებული რისკები აისახოს შპს შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“-ს ინტეგრირებულ რისკების კორპორატიულ მართვასა (ERM) და მდგრადობის სისტემებში. როგორც კომპანიის კორპორატიული მართვის წესდებაშია ასახული, შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“-ს დირექტორთა საბჭო უშუალოდ ახორციელებს რისკების მართვის ზედამხედველობას და კვარტალური სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების ფარგლებში იღებს ინფორმაციას წყალთან დაკავშირებული არსებითი რისკების შესახებ.

- **წყლის დაბინძურების პრევენცია და კონტროლი:**

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ მოწოდებულია, აღკვეთოს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება. გატარებული ზომები მოიცავს ობიექტების პერიოდულ შემოწმებას პოტენციური გაჟონვის ან სახიფათო დაღვრების იდენტიფიცირების მიზნით. დანერგილია ნატანის კონტროლის მექანიზმები, და ნარჩენების მართვისა და განთავსების სათანადო წესების დაცვას. კომპანია ახორციელებს მოტივტივე ნაგვის ამოღებას მდინარეების კალაპოტებიდან ავტომატიზებული ნაგავდამჭერებისა და ცხაურების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს მდინარის ქვედა ბიეფის სისუფთავის შენარჩუნებას. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს გარემოსდაცვით ნებართვებთან შესაბამისობას და იცავს წყლის ეკოსისტემებს დაბინძურებასთან დაკავშირებული რისკებისგან. შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ იყენებს მხოლოდ მაღალი ხარისხის ბიოდეგრადირებად სატურბინე ზეთებსა და სხვა ეკოლოგიურად უსაფრთხო საპონ მასალებს ძირითადი კომპონენტებისთვის, მათ შორის ტურბინებისა და ფარებისათვის, რათა თავიდან აიცილოს წყლის დაბინძურება. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ტრანსფორმატორები არ არის განთავსებული მდინარის უშუალო სიახლოვეში, გარემოსდაცვითი პრევენციული ზომების ფარგლებში, მათ განთავსების ადგილებზე მოწყობილია შემკრები ავზები, რაც უზრუნველყოფს პოტენციური გაჟონვის ან გაუთვალისწინებელი დაღვრის ეფექტიან შეკავებასა და მართვას. ეს უზრუნველყოფს, რომ დაბინძურებული ნივთიერებები არ

მოხვდეს მდინარეში, მიწისქვეშა წყალში ან მიმდებარე ნიადაგში, რაც ამცირებს გარემოსდაცვით რისკებს და იცავს ბუნებრივ რესურსებს.

- **გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება:**

წყლის რესურსების მართვის გეგმის განხორციელების შედეგები და პროგრესი ასახულია მშს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ ყოველწლიურ გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით ანგარიშში, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია კომპანიის კორპორატიულ ვებგვერდზე [Austrian-Georgian Development](#) ამგვარი მიდგომა შეესაბამება გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპებს.

წყლის რესურსების მართვის გეგმის მეშვეობით, მშს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ ხელს უწყობს წყლის რესურსების პასუხისმგებლიან მართვას, აძლიერებს კლიმატურ მდგრადობას და ამტკიცებს საკუთარ ერთგულებას გარემოს დაცვისა და გრძელვადიანი ღირებულების შექმნის მიმართ.

წყლის რესურსებზე კონკურენტული მოთხოვნებით გამოწვეული ზეწოლის პირობებში მოქმედება

მშს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ საქმიანობს ისეთ რეგიონებში, სადაც წყლის რესურსები ხელმისაწვდომია სხვადასხვა მომხმარებლისათვის, მათ შორის სარწყავი და სასოფლო-სამეურნეო საჭიროებებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია იყენებს მდინარე ლახამს, აღნიშნული ტერიტორია ასევე ცნობილია თავისი მცირე მდინარეებითა და მთის წყაროებით. რეგიონი არ არის კლასიფიცირებული, როგორც წყლის დეფიციტური ზონა, თუმცა წყლის ბალანსისა და მისი მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა რჩება უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად. კომპანია უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს ჰიდროლოგიური პირობების მონიტორინგს და აფასებს პოტენციურ ზემოქმედებებს როგორც რაოდენობრივი მეთოდებით (მაგალითად, ხანგრძლივი პერიოდის ხარჯის გაზომვებით), ასევე დაინტერესებულ მხარეებთან, წყლის მომხმარებლებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან აქტიური კომუნიკაციის გზით. აღნიშნული ძალისხმევა უზრუნველყოფს, რომ კომპანიის მიერ წყლის აღება არ მოახდენს უარყოფით გავლენას მდინარის ქვედა ბიეფში მყოფ მომხმარებლებზე და სრულ თანხვედრაშია როგორც წყლის რესურსების განაწილების ეროვნულ პრიორიტეტებთან, ისე გარემოსდაცვით ვალდებულებებთან.

წყალთან დაკავშირებული ინციდენტების გავლენა ბიზნესზე

მშს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ სრულად აცნობიერებს, რომ მისი ჰიდროელექტროსადგურების ოპერირება დამოკიდებულია მდინარის წყლის ხელმისაწვდომობასა და უწყვეტობაზე. წყალთან დაკავშირებულმა მოვლენებმა, მათ შორის გახანგრძლივებულმა გვალვებმა, უეცარმა წყალდიდობებმა და ჰიდროლოგიურად ექსტრემალური მოვლენებით გამოწვეულმა ინფრასტრუქტურულმა დაზიანებებმა, შესაძლოა გამოიწვიოს ოპერირების შეფერხებები, აქტივების დაზიანება და შეზღუდოს ეკოლოგიური ხარჯის დაცვის ვალდებულებების შესრულება. მსგავსმა მოვლენებმა ასევე შეიძლება გავლენა იქონიოს ადგილობრივ მოსახლეობაზე და წარმოშვას გარკვეული რეპუტაციული და კანონმდებლობითი შესაბამისობის რისკები, თუმცა აღნიშნული მოვლენები არ იქნება გამოწვეული ჰესის ოპერირებით. კომპანია წყალთან დაკავშირებულ სცენარებს აინტეგრირებს რისკების კორპორატიული მართვის (ERM) სისტემაში, რათა წინასწარ განსაზღვროს და პროაქტიულად მართოს პოტენციური ზემოქმედებები. მზადყოფნის გასაძლიერებლად და მოწყვლადობის შესამცირებლად გამოიყენება პერიოდული რისკების გადახედვა, ადაპტირებული ინფრასტრუქტურის დაგეგმვა და შეტყობინების სისტემები. საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შესაბამისად, მშს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ იკვლევს შესაძლებლობებს, გააღრმავოს სცენარებზე დაფუძნებული რისკების დაგეგმვა და გრძელვადიანი ადაპტაციური სტრატეგიები, რომლებიც მიმართულია როგორც მწვავე, ასევე ხანგრძლივი ხასიათის წყალთან დაკავშირებული რისკების მოგვარებაზე. აღნიშნული მოიცავს ჰიდროლოგიური ცვალებადობის ინტეგრირებას ბიზნესის უწყვეტობის გეგმებში და ოპერირების მდგრადობის კიდევ უფრო მეტად მისადაგებას კორპორაციული მდგრადობის ვალდებულებებთან.

წყლის რესურსების მართვის გეგმის გადახედვის პროცესი

საერთაშორისოდ აღიარებული გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების კარგი პრაქტიკებისა და სტანდარტების შესაბამისად, კომპანია ყოველი წლის ბოლოს, აწარმოებს წყლის რესურსების მართვის გეგმის სრულყოფილ გადახედვას. აღნიშნულ პროცესს ახორციელებს კომპანიის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მენეჯერი და უზრუნველყოფს, რომ გამოქვეყნებული ინფორმაცია ზუსტად ასახავს მიმდინარე შეფასებებს, შესრულების მაჩვენებლებსა და ოპერირების პრაქტიკებს.

ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, განახლებული დოკუმენტაცია გადის დადგენილ დამტკიცების პროცესს. თავდაპირველად, შემოთავაზებული ცვლილებები გადაეცემა კომპანიის გენერალურ დირექტორს, რევიზიისა და დამტკიცებისათვის. დირექტორის ვალიდაციის შემდეგ, დოკუმენტაცია ეგზავნება კავკასიის განახლებადი ენერჯის ჰოლდინგის (CCEH) გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობითი და მდგრადობის ხელმძღვანელს, საბოლოო რევიზიისა და დამტკიცებისათვის. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ თითოეული ცვლილება ასახავს მაღალი ხარისხის სტანდარტებს, გამჭვირვალობას და რეგულაციების მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინფორმირებული არიან ცვლილებების შესახებ, რაც აძლიერებს ჩვენს ვალდებულებას შევინარჩუნოთ მაღალი საერთაშორისო სტანდარტები.

კომპანიის განახლებული წყლის რესურსების მართვის გეგმა საჯაროდ ხელმისაწვდომი ხდება კომპანიის ვებგვერდზე. ძველი ვერსია კვლავ ხელმისაწვდომი რჩება ვებ გვერდზე, არქივის განყოფილებაში.

დანართი: წყლის მართვის გეგმის განხორციელების

მოცემული განხორციელების გეგმა განსაზღვრავს წყლის მართვის გეგმის ძირითად საქმიანობებს, პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს და მათი შესრულების სავარაუდო ვადებს.

საქმიანობა	აღწერა	პასუხისმგებელი ერთეული	სიხშირე / ვადები
ჰიდროლოგიური ნაკადის მონიტორინგი	ნაკადების მოცულობების გაზომვა განსაზღვრულ მდინარის კვეთებში	ტექნიკური დირექტორი / გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მენეჯერი	ყოველდღიურად
ეკოლოგიური ხარჯის შესაბამისობის შემოწმება	მინიმალური ხარჯის გაშვების დადასტურება ნებართვისა და გზშ-ს შესაბამისად	გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მენეჯერი / ოპერირების გუნდი	საათობრივი / ყოველდღიური
ინფრასტრუქტურის ინსპექტირება და მოვლა	რისკების შემცირების შეფასება და ნაგებობების მოვლა (მაგ. ფერდობის სტაბილურობა)	ტექნიკური დირექტორი / ოპერირების გუნდი	ნახევარწლიურად / ინციდენტების შემდეგ
რისკების მიმოხილვა და განახლება	წყლის რესურსებთან დაკავშირებული რისკებისა და ადაპტური ზომების შეფასება	დირექტორი / ტექნიკური დირექტორი / გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მენეჯერი	ყოველწლიურად
დაინტერესებულ მხარეების ჩართულობა	ადგილობრივ თემებთან და მარეგულირებელ უწყებებთან კონსულტაცია	გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მენეჯერი	ყოველწლიურად / საჭიროებისამებრ
ESG ანგარიშში გამჟღავნება	წყლის მართვის გეგმის პროგრესისა და ინციდენტების გასაჯაროება	გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მენეჯერი	ყოველწლიურად